დამტკიცებულია
ა(ა)იპ - კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2024 წლის 01 მაისის N01-4/54 ბრძანებით

ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი

მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის მიზნები

ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის (შემდგომში - შიდა მექანიზმი) მიზანია ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ (შემდგომში - კოლეჯი) მიერ განხორციელებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის გაძლიერება.

მუხლი 2. შიდა მექანიზმის პრინციპები

შიდა მექანიზმი ემყარება „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპს, კერძოდ:

ა) **დაგეგმე (Plan)** - პროგრამის შეფასება, რის შედეგადაც ხდება არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;

ბ) **განახორციელე (Do**) - გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება;

გ) **შეამოწმე (Check)** - გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვება და გამოყენებული მექანიზმების შეფასება;

დ) **განავითარე (Act)** - შეფასების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე, პროგრამის გაუმჯობესება/განვითარება.

მუხლი 3. პროგრამის შეფასება

1. ყველა პროგრამა, რომლის განხორციელების უფლებაც კოლეჯს აქვს მოპოვებული, ექვემდებარე შეფასებას, წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. თითოეული პროგრამის შეფასების მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს კვლევის ჩატარებას. კოლეჯი ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა ისეთი სახის ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას.

3. პროგრამის შეფასების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები უნდა იძლეოდეს სანდო და ვალიდურ შედეგებს, შემდეგი საკითხების დასადგენად:

ა) რამდენად უკავშირდება პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/ მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს;

ბ) რამდენად შეესაბამება პროგრამა მსმენელთა მოთხოვნებს;

გ) რამდენად უზრუნველყოფს გამოყენებული სწავლების მეთოდები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

დ) რამდენად უზრუნველყოფს მსმენელის შეფასების სისტემა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ე) რამდენად უზრუნველყოფს პროგრამის ადამიანური რესურსი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ვ) რამდენად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შეფასების მეთოდები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასებას;
ზ) რამდენად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალური რესურსი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
თ) საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელების შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები: კალენდარული გეგმის შემოწმების ფორმა (დანართი N1), შეფასების ინსტრუმენტების ტექნიკური მხარის შემოწმების ფორმა (დანართი N2), შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა (დანართი N3), შეფასების პროცესზე დაკვირვების ფორმა (დანართი N4), საკონტაქტო საათზე დასწრების ფორმა (დანართი N5).

მუხლი 4. პროგრამის შეფასების ორგანიზება

1. პროგრამის შეფასების ორგანიზებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
2. პროგრამის შეფასების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ერთ-ერთი ფორმით:
ა) შეფასების კითხვარის შევსება მატერიალური ან ელექტრონული სახით;
ბ) ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა;
გ) ინტერვიუ.
3. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.
4. კოლეჯში პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენებით:
ა) პროგრამის/პროგრამების მსმენელების რაოდენობა (მათ შორის მოქალაქეობის, სქესის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, ასაკობრივ ჭრილში);
ბ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა;
გ) პროგრამის მსმენელებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა;
დ) მსმენელთა მიერ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი;
ე) მსმენელთა მიღწევების მაჩვენებელი;
ვ) პროგრამის მსმენელთა გამოკითხვის შედეგები;
ზ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
თ) პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
ი) პროგრამის კურსდამთავრებულების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;
კ) პროგრამის კურსდამთავრებულების არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელი.
5. პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემდეგი მიმართულებით:
ა) პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, პროგრამის შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობა მისაღწევ სწავლის შედეგებთან;
გ) განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ადეკვატურობა;
დ) პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი მატერიალური რესურსების ადეკვატურობა.
6. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ხდება მონაცემების დამუშავება, გაანალიზება, შეფასება და მიღებული შედეგების შენარჩუნების ან გაუმჯობესების გეგმების შემუშავება;

7. თითოეული ასპექტის შემოწმებისას ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამოყენებული მტკიცებულებები და მათი მოპოვების წყაროები მოცემულია ინსტრუქციის დასკვნით ნაწილში, რადგან ერთი წყარო ან მტკიცებულება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა ასპექტების შემოწმებისას.

მუხლი 5. შეფასების პერიოდულობა

1. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროგრამის ყოველი განხორციელებისას.
2. პროგრამის შეფასების პროცესი ციკლური ხასიათისაა შეიძლება დაიწყოს პროგრამის დაწყებამდე/პროგრამის განმავლობაში და დასრულდეს პროგრამის დასრულების შემდგომ.
3. მსმენელთა, კურსდამთავრებულთა, მასწავლებელთა და პროგრამის თანაგანმახორციელებელი პარტნიორის გამოკითხვა ტარდება პროგრამის ყოველი განხორციელებისას.
4. დაკვირვება ხორციელდება პროგრამის ყოველი განხორციელებისას არანაკლებ ორჯერ.

მუხლი 6. პროგრამის შეფასების დოკუმენტირება

1. პროგრამის შეფასების შედეგად, დგება პროგრამის შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) შეფასების მიზანი;
ბ) შეფასებისას გამოყენებული მეთოდები;
დ) შეფასების ვალიდობისა და სანდოობის უზრუნველყოფა;
ე) შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზები და ნაკლოვანებები;
ვ) რეკომენდაციები შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 7. პროგრამის შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება

1.პროგრამის განვითარება/გაუმჯობესების მიზნით კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
2. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია ზრდასრულთა განათლების კორდინატორი.
3. ზრდასრულთა განათლების კორდინატორი პროგრამის განმახორციელებელ პირი/პირებთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებისთვის გასატარებელ ღონისძიებების დასახვას და ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს.

მუხლი 8. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების შეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოყენებული კითხვარები

1. მსმენელთა კითხვარი - https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLScvxZWL4rB5mBJYtFrJqDV002JezODP291y_sbkF8RC0YpLOQ/viewform ;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კითხვარი - https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdAYSihvv_hjVJH0KQFrbUuVjNIe9pSRPAkbQaO30kKxIXtEg/viewform

3. კურსდამთავრებულთა კითხვარი - https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdYgZTpRg7tBjb4OJqZ88ZWDwy80fNw4t32dFrcEjEEiutfdg/viewform ;
4. დამსაქმებელთა კითხვარი - https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSc-oqx6MPNanrtfJYIt0yIqe6gMA3IhLxSwXjD2J-_OHf3gCg/viewform ;.
5. ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს ანალიზს, საჭიროების შეთხვევაში შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
6. გამოკითხვას აწარმოებს ზრდასრულთა განათლების კორდინატორი;
7. მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის დასრულებისას.
8. კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ.

დანართი 1

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

კალენდარული გეგმის შემოწმების ფორმა

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა _____
პროგრამის განმახორციელებელი პირი _____

N	შესაფასებელი ინფორმაცია	დიახ	არა	რეკომენდაციები
1.	სწორადაა მითითებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა სახელწოდება			
2.	სწორადაა მითითებული კვალიფიკაციის დონე			
3.	საათების განაწილება კვირების მიხედვით შეესაბამება პროგრამას			
4.	სწავლების მეთოდები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულს			
5.	შეფასების მეთოდები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულს			
6.	გაწერილია საჭირო რესურსი			
7.	კალენდარული გეგმა შევსებულია სრულად (შევსებულია ყველა ველი)			
8.	კალენდარული გეგმა შეთანხმებულია			

შემოწმების თარიღი:

შემმოწმებელის სახელი, გვარი, პოზიცია: _____

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

შეფასების ინსტრუმენტების ტექნიკური მხარის შემოწმების ფორმა

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასახელება _____

_____

სწავლის შედეგი

პროფესიული განათლების მასწავლებელი -

თარიღი -

შეფასების ინსტრუმენტის შემმოწმებელი _____

(სახელი, გვარი)

შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების ჩეკ-ლისტი

შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარე		დიახ	არა	შენიშვნა
1.	მითითებულია საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება			
2.	მითითებულია პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სახელწოდება			
3.	მითითებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი			
4.	შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებები გასაგები ენით არის აღწერილი			
5.	შეფასების ინსტრუმენტში ასახულია დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო			
6.	დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად			
კომენტარები და რეკომენდაციები				

შემმოწმებელი განათლების სპეციალისტი _____

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასახელება
_____

სწავლის შედეგი
პროფესიული განათლების მასწავლებელი _____
თარიღი _____
შეფასების ინსტრუმენტის შემმოწმებელი _____
(სახელი, გვარი)

შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების ჩეკ-ლისტი

	კრიტერიუმები	დიახ	ნაწილობრივ	არა
1.	შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ კითხვათა/დავალებათა შინაარსი ფარავს სწავლის შედეგს			
2.	შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული კითხვათა/დავალებათა რაოდენობა საკმარისია სწავლის შედეგის დასადასტურებლად			
3.	დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად			
4.	შეფასების ინსტრუმენტში სწორადაა განსაზღვრული ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი.			

შემოწმების თარიღი:
შემმოწმებლ(ებ)ი ხელმოწერა:

დანართი 4

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

შეფასების პროცესზე დაკვირვების ფორმა

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა			
სწავლის შედეგი			
ჯგუფის №:			
შეფასების თარიღი:			
პროფესიული განათლების მასწავლებელი:			
შემმოწმებელი:			
შეფასების პროცესი	დიახ	ნაწილობრივ	არა
შეფასება დაიწყო დანიშნულ დროს			
შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას			
შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენებით			
შესაფასებელ პირებს ჰქონდათ დროის სრულად გამოყენების შესაძლებლობა			
შესაფასებელი პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი შეფასების პირობები (დრო და ადგილი, ხანგრძლივობა, შეფასების კრიტერიუმები)			
შეფასების პროცესი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალებით და ნედლეულით			
შემფასებლის ჩართულობა შესაბამისია სწავლის შედეგით გათვალისწინებული შეფასების მეთოდის/მეთოდების			
ყველა შესაფასებელი პირი შეფასდა ერთნაირ პირობებში			

კომენტარები და რეკომენდაციები შეფასების პროცესთან დაკავშირებით:

_____

_____

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი:

პროფესიული განათლების მასწავლებელი:

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
საკონტაქტო საათზე დასწრების ფორმა

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა	
სწავლის შედეგი:	
საკონტაქტო საათზე დასწრების თარიღი:	
სწავლის შედეგის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი:	
ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა:	
მსმენელთა რაოდენობა შემოწმების დროს:	
შემმოწმებელი:	

	დიახ	არა
ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება სწავლის შედეგში მითითებულ შესაბამის გარემოში		
საკონტაქტო საათის დრო და თემატიკა შეესაბამება კალენდარულ გეგმას		
პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია განსაზღვრული პროგრამის კვირასთან		
სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ /ტექნიკური რესურსით		
სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით		
მასწავლებელი ახდენს მსმენელთა მოტივირებას		
მასწავლებელი ხელს უწყობს მსმენელების ჩართულობას		
მასწავლებელი მეცადინეობის ბოლოს ახორციელებს უკუკავშირს მსმენელებთან		

კომენტარები და რეკომენდაციები პროცესთან დაკავშირებით:

_____

_____

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი:
პროფესიული განათლების მასწავლებელი: